სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/409

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2019

სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის, გ. მჭედლიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაჯილდოვდეს სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი როზა ხუციშვილი სტუ-ის საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით (ფაკულტეტის ბიუჯეტიდან);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**